

## 2. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- ფესტივალის შეჯიბრებას ხელმძღვანელობს და ატარებს თბილისის ფეხბურთის ფედერაცია (შემდგომში თფფ).

- თამაშები ჩატარდება ვიტალი დარასელიას სახელობის „დინამოს“ აკადემიის მოედნებზე, ხოლო ფინალები - „ლოკომოტივის“ სტადიონზე თფფ-ს მიერ დამტკიცებული კალენდრის მიხედვით.

## 3. მონაწილე გუნდები

3.1. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის და საქართველოს სხვადასხვა რეგიონების, აგრეთვე აზერბაიჯანის და რუსეთის საფეხბურთო სკოლების აღსაზრდელები, 2007-2008-2009 წელს დაბადებული ჭაბუკები.

3.2. მატჩის ხანგრძლიობაა 40 წუთი (20 – 20წთ.), 5 წუთი შესვენებით;

3.3. 2007 და 2008 წელს დაბადებული ჭაბუკები ითამაშებენ 1 კარში და 8 წინ, ხოლო 2009 წელს დაბადებულები - 1 კარში და 6 წინ. ბურთის ზომა #4

3.4. ფესტივალში ქულების დარიცხვა მოხდება შემდეგნაირად: მოგება - 3 ქულა, ფრე - 1 ქულა, წაგება - 0 ქულა;

3.5. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპებით:

3.5.1. მოგებათა მეტი რაოდენობა;

3.5.2. უშვალოდ ერთმანეთთან შეხვედრების შედეგები (ჯერ ქულათა რაოდენობა, შემდეგ - ბურთების უკეთესი სხვაობა);

3.5.3. ჯგუფში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;

3.5.4. ჯგუფში გატანილი ბურთების მეტი რაოდენობა;

3.5.5. ფერ-ფლეს შედეგები; თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყოება კენჭისყრა.

3.5.6. იმ შემთხვევაში თუ საჭირო შეიქმნა საუკეთესო მესამე ადგილოსნების გამოვლენა გამოყენებული იქნება შემდეგი პრინციპი. პირველად უპირატესობა მიეცემა გუნდს ვისაც მეტი ქულები აქვს დაგროვილი ჯგუფებში მესამე ადგილზე გასულ გუნდებს შორის, შემდეგ მიღებული და გაშვებული ბურთების უკეთესი ბალანსი, ხოლო ბოლოს მეტი გატანილი ბურთები. თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყოება კენჭისყრა.

3.6. გუნდის მწვრთნელი ვალდებულია შეხვედრის დაწყებამდე 15 წუთით ადრე, მატჩის ტექნიკურ ოქმში შეიყვანოს მინიმუმ 12 ფეხბურთელი;